ხელშეკრულება #139
საკონტროლო-სალარო აპარატის მომსახურების შესახებ

ქ. [თბილისი] [20] აპრილი 2023 წელი

ერთის მხრივ, **შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** (ს/ნ: 406049823) წარმოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით (შემდგომში - **„მიმწოდებელი"**), და მეორე მხრივ, [შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი (ს/ნ404945164) წარმოდგენილი გენეარლური დირექტორის ბორის თაყაიშვილის სახით, (შემდგომში - **„შემსყიდველი"**),

„მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე- 3 პუნქტის „ა" ქვეპუქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან მიღებული თანხმობის 2023 წლის 19 აპრილის N 1241 **SMP230001104** საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე, შემდგომში - (**„ხელშეკრულება"**).

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1 თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, წინამდებარე „ხელშეკრულების" მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საკონტროლო-სალარო აპარატი/(სსა)** - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელსაც წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე მომსახურებას უწევს „მიმწოდებელი";

ბ) **მომსახურება** - წინამდებარე „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურება, რომლის გაწევის ვალდებულებასაც იღებს „მიმწოდებელი" და რომელიც გულისხმობს სააბონენტო და საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებას;

გ) **სააბონენტო მომსახურება -** წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე და მისი მოქმედების პერიოდში „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" გასაწევი შემდეგი მომსახურება:

- ონლაინ კონსულტაციას;
- ცხელი ხაზის საკონსულტაციო მომსახურებას;
- GPRS კავშირის უზრუნველყოფას და მონაცემთა შესაბამის ბაზებსა თუ სერვერებზე მიწოდებას.

დ) **საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება -** წინამდებარე „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით" განსაზღვრული სსს-ა(ები)ს შეკეთება/ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი დაზიანება ან/და გაუმართაობა გამოწვეულია „შემსყიდველის" ან სხვა ნებისმიერი მესამე პირის განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად ან/და სსა-ს არასათანადო მოხმარების შედეგად.

ე) **სსა-ს რეგისტრაცია** - საკონტროლო სალარო აპარატის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სსა-ს მესაკუთრისა და სამეწარმეო ადგილის შესახებ ინფორმაციის სათანადო ბაზებში ასახვას;

ვ) **სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნა -** სსა-ს ფუნქციონირების შეჩერება და წინამდებარე „ხელშეკრულების" შეწყვეტა;

ზ) **საგარანტიო პერიოდი** - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს წინამდებარე „ხელშეკრულება" და „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" აწვდის მომსახურებას, იმის და მიუხედავად თუ რა პერიოდია გასული „ხელშეკრულების" დადებიდან;

თ) **არასაგარანტიო მომსახურება** - მომსახურება რომელზეც არ ვრცელდება საგარანტიო მომსახურება;

ი) **ცვლადი მაკომპლექტებელი** - სსა-ს შემადგენელი ნაწილები და მაკომპლექტებლები, რომელთა რესურსის შევსება/ამოწურვა ხდება სსა-ს ფუნქციონირების შედეგად და ისინი ექვემდებარება შეცვლას. „ცვლადი მაკომპლექტებლებია": ფისკალური მეხსიერების ბარათი, ელექტრონული ჟურნალი, და სხვა. სსა-ს მესაკუთრის ან/და სხვა სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს „ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის" შეცვლა;

კ) **GPRS კავშირი -** სსა-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კავშირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის;

ლ) **სააბონენტო მომსახურების საფასური** - „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ „სააბონენტო მომსახურების“ მისაღებად წინსწრებით გადასახდელი თანხა. „სააბონენტო მომსახურების საფასურის“ ოდენობა ერთ სსა-ზე განისაზღვრება ერთ საანგარიშო თვეზე 5 (ხუთი) ლარით დღგ-ს ჩათვლით;

მ) **საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასური** - „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების“ მისაღებად წინსწრებით გადასახდელი თანხა. „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასურის“ ოდენობა ერთ სსა-ზე განისაზღვრება თვეში 5 (ხუთი) ლარით დღგ-ს ჩათვლით;

ნ) **წელი** - „მომსახურების“ გაწევის მინიმალური პერიოდი, „მომსახურების“ მინიმალური პერიოდი ამოიწურება მომდევნო წელს წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების თვესა და რიცხვში;

ო) **ექსპრეს მომსახურება** - „მიმწოდებლის“ დამატებითი სერვისი, რომელიც არ არის „მომსახურების“ ნაწილი და რომელიც ექვემდებარება დამოუკიდებლად ანაზღაურებას;

პ) **განვადება** - საბანკო ან ფინანსური დაწესებულების მიერ სსა-ს შეძენის მიზნით „შემსყიდველისთვის“ მიცემული სესხი, კრედიტი ან სხვა სახის ფულადი თანხები;

ჟ) **შიდა განვადება** - „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისთვის“ განვადებით გაცემული სსა, „შიდა განვადებაზე“ შეთანხმების შემთხვევაში „შიდა განვადებას“ არეგულირებს „მხარეთა“ შორის გაფორმებული ცალკე ხელშეკრულება;

რ) **დავალიანება** - „შემსყიდველის“ ფინანსური ვალდებულება „მიმწოდებლის“ მიმართ, რაც წარმოიშობა „სააბონენტო მომსახურების საფასურის“ ან/და „საგარანტიო-ტექნიკური მომსახურების საფასურის“ გადაუხდელობის, ნაწილობრივ გადახდის, „ექსპრეს მომსახურების“ ან „შიდა განვადების“ ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/დარღვევის ან/და „არასაგარანტიო მომსახურების“ გაწევით.

ს) **მომსახურების საფასური** - სააბონენტო მომსახურების საფასურისა და საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასურის ჯამი თითოეულ სსა-ზე ერთი საანგარიშო წლის ჭრილში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე „შემსყიდველის“ საკუთრებაში

N	სსა-ს N	სსა-ს მოდელი	მომსახურების გაწევის ვადა სსა-ზე	ლუქის ნომერი
1	DY00151512	Daisy eXpert	19/09/23 -19/09/24	
2	DY00078489	Daisy eXpert	19/09/23 - 19/09/24	
3	DY00080761	Daisy eXpert	24/05/23 - 24/05/24	
4	DY00149661	Daisy eXpert	18/07/23 - 18/07/24	
5	DY00149658	Daisy eXpert	18/07/23 - 18/07/24	
6	DY00149663	Daisy eXpert	18/07/23 - 18/07/24	
7	DY00149666	Daisy eXpert	18/07/23 - 18/07/24	
8	DY00149665	Daisy eXpert	16/06/23 - 16/06/24	
9	DY00046130	Daisy eXpert	20/04/23 - 20/04/24	

არსებულ, ამ მუხლის 2.2. პუნქტში აღნიშნულ, საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ს, გაუწიოს „მომსახურება“, „შემსყიდველი“ კი, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას „მომსახურების“ მიღების მიზნით „მიმწოდებელს“ შესაბამისი საფასური (CPV 50311000 - საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება).

2.2 საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ის მონაცემები:

მუხლი 3. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევის წესი და პირობები

3.1 სსა-ს „საგარანტიო პერიოდი“ აითვლება მისი წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების დღიდან და ძალაშია „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადით.

3.2 მომსახურების პერიოდის ამოწურვიდან 1 (ერთი) თვის ვადაში სააბონენტო თანხის გადაუხდელობის გამო სსა საჭიროებს პროგრამულ განახლებას, რისთვისაც სსა უნდა წარედგინოს შემსრულებლის სერვის-ცენტრს.

3.3 იმ შემთხვევაში თუ დაზიანებული სსა-ს „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების“ გაწევას სჭირდება 48 (ორმოცდარვა) საათზე მეტი, დაზიანების აღმოფხვრამდე „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ უზრუნველყოფს სარეზერვო სალარო აპარატით. სარეზერვო სალარო აპარატი „მიმწოდებლისთვის“ დაბრუნებულ უნდა იქნეს იმავე

მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იყო „მიმწოდებლისთვის“ გადაცემის დროისთვის.

3.4 „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისთვის“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების“ გაწევა ხორციელდება „მიმწოდებლის“ სერვის-ცენტრებში, შესაბამისი ტექნიკური პერსონალის მიერ, აღნიშნული მომსახურების მისაღებად „შემსყიდველი“ ვალდებულია დაზიანებული სსა საკუთარი ხარჯით მიაწოდოს „მიმწოდებელს“ შესაბამის სერვის-ცენტრში. დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ „შემსყიდველი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით წაიღოს სსა „მიმწოდებლის“ შესაბამისი სერვის-ცენტრიდან.

3.5 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „მხარეები“ მიუთითებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია „შემსყიდველის“ ან სხვა ნებისმიერი პირის მხრიდან სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, სხვა ნორმალური გამოყენებისგან განსხვავებული მოხმარების, ფორს-მაჟორული შემთხვევის (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), ვანდალიზმის ან ნებისმიერი პირის მექანიკური ზემოქმედების შედეგად, ასევე სსა-ს დაბინძურების ან/და ნებისმიერი ნაწილის დაკარგვის შემთხვევაში „შემსყიდველი“ კარგავს „მიმწოდებლისგან“ „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების“ მიღების მოთხოვნის უფლებას.

3.6 „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება“ მათ შორის და არა მხოლოდ, არ ვრცელდება ელემენტ(ებ)ზე, დამტენზე (კვების ბლოკი) და კაბელზე. იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ნაწილები არ ფუნქციონირებს გამართულად და „შემსყიდველს“ სსა შეძენილი აქვს „მიმწოდებლისგან“ „ხელშეკრულების“ დადების მომენტში, „შემსყიდველი“ ვალდებულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადებიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში მიმართოს „მიმწოდებელს“ ნაწილის შეცვლის ან შეკეთების მოთხოვნით და წარუდგინოს ნაწილები გარეგანი დაზიანების გარეშე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეაკეთოს/შეცვალოს ხსენებულ ნაწილები შესაბამისი ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ.

3.7 „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება“ არ ვრცელდება „ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის“ შეცვლაზე თუკი შეცვლა განპირობებულია „ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის“ რესურსის შევსებით/ამოწურვით, ასევე ახალი ან მეორადი სსა-ს რეგისტრაციაზე ან/და რეგისტრაციიდან მოხსნაზე.

3.8 იმ შემთხვევაში, თუკი სსა-ს ან მისი ნაწილის შეკეთებაზე არ ვრცელდება „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება“ ან/და გასულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია განახორციელოს დაზიანებული სსა-ს არასაგარანტიო ტექნიკური მომსახურება, შეკეთების დროისთვის მის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, შესაბამისად „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაუხადოს „მიმწოდებელს“ არასაგარანტიო მომსახურების საფასური.

3.9 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია არ გაუწიოს „შემსყიდველს“ „საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება“ თუკი დარღვეულია სსა-ს ლუქის მთლიანობა და მდებარეობა ან/და თუ კი „მიმწოდებლის“ წარმომადგენელი სსა-ს შემოწმების შემდეგ დაადგენს, რომ სსა-ს ან მისი რომელიმე ნაწილის დაზიანება გამოწვეულია „შემსყიდველის“ ან ნებისმიერი მესამე პირის ბრალით.

3.10 მიმწოდებლის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ჯიპიარეს სერვისის გათიშვასა ან/და აღნიშნული სერვისის ხარვეზებით მუშაობაზე, რაც გამოწვეულია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელ(ებ)ის მუშაობის ხარვეზით.

3.11 „მიმწოდებელი“ თავისუფლდება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს. წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ შემთხვევად მათ შორის და არა მხოლოდ მიიჩნევა დაუძლეველი ძალა, სტიქიური უბედურებები, ომი, სამხედრო მანევრები, პანდემია, ეპიდემია, სამთავრობო დადგენილებები და სხვა მოვლენები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 4. მიმწოდებლის უფლებამოსილება

4.1 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს „შემსყიდველს“ მომსახურება თუ:

ა) „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ არ განხორციელდება „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით გათვალისწინებული „მომსახურების საფასურის“ დროულად და სრულად გადახდა. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია სსა-ს „მომსახურების” გააქტიურებისთვის „შემსყიდველს“ მოსთხოვოს დამატებით საფასურის გადახდა.

ბ) „შემსყიდველმა“ სსა(ები) შეიძინა განვადების საშუალებით და „მიმწოდებელს“ საბანკო ან სხვა ფინანსური დაწესებულებიდან მიღებული აქვს წერილობითი მოთხოვნა „მომსახურების“ შეწყვეტის შესახებ;

გ) „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლისგან“ შიდა განვადებით შეიძინა სსა და დაარღვია/არ შეასრულა/არაჯეროვნად

შეასრულა განვადების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
დ) „შემსყიდველი“ სარგებლობს „მიმწოდებლის“ ექსპრეს მომსახურების სერვისით და დაარღვია/არ შეასრულა ექსპრეს მომსახურების სერვისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

4.2 მიმწოდებელს უფლება აქვს არ გაუწიოს შემსყიდველის სსა(ებ)-ს „რეგისტრაციიდან მოხსნის მომსახურება“:
ა) თუ „შემსყიდველს“ გააჩნია „დავალიანება” „მიმწოდებლის“ მიმართ, აღნიშნული „დავალიანების“ დაფარვამდე;
ბ) თუ „შემსყიდველმა“ სსა შეიძინა განვადებით შესაბამისი დაწესებულებიდან, დავალიანების არ არსებობის შესახებ ოფიციალური ცნობის ან შესაბამისი თანხმობის „მიმწოდებლისთვის“ წარმოდგენამდე.

4.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია „შემსყიდველს“ მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის ან/და “მიმწოდებლის“ ვებ. გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია „მიმწოდებლის“ მიერ დანერგილი სიახლეების ან/და „ხელშეკრულების“ პირობების დაზუსტების/შეცვლის შესახებ. „შემსყიდველი“ აცხადებს თანხმობას, რომ „მიმწოდებელმა“ მისი მონაცემები გამოიყენოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის. „შემსყიდველს“ უფლება აქვს, „მიმწოდებელს“ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.

4.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეამოწმოს სსა(ებ)ი ადგილზე დათვალიერების გზით. ამ შემთხვევაში „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ წვდომა სსა-ზე.

4.5 „შემსყიდველი“ თანხმობას გამოთქვამს, რომ „მიმწოდებელმა“ დაამუშაოს „შემსყიდველის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გაწევის მიზნით, ასევე „მიმწოდებლის“ ბიზნეს საქმიანობისთვის საჭირო მიზნებისთვის, ან/და მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოებსა თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

მუხლი 5. შემსყიდველის უფლებამოსილება

5.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.1.1 ისარგებლოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურებით“ „მიმწოდებლის“ სამუშაო დღეებსა და საათებში;

5.1.2 ისარგებლოს შეუზღუდავად შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურებით, კავშირისთვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

5.1.3 „მიმწოდებლის“ სამუშაო დღეებსა და საათებში ისარგებლოს მიმწოდებლის ცხელი ხაზის მომსახურებით;

5.1.4 მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ინფორმაცია წინამდებარე „ხელშეკრულების“ საგანთან დაკავშირებით;

5.1.5 დადგენილი წესით მოითხოვოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა.

მუხლი 6. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

6.1 „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისთვის“ გადასახდელი წლიური „მომსახურების საფასური“ განისაზღვრება 120 (ასოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით ერთ სსა-ზე (სააბონენტო მომსახურების საფასური - 5 ლარი თვეში, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასური - 5 ლარი თვეში), ხოლო პროგრამული განახლების საფასური შეადგენს 29 (ოცდაცხრა) ლარს. პროგრამული განახლების საფასური წარმოადგენს ერთჯერად გადასახადს.

6.2 „შემსყიდველის“ მიერ „მომსახურების საფასურის“ გადახდა ხორციელდება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

6.3 „მომსახურების საფასური“ გადახდილ უნდა იქნას ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე, ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადებში. **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1080.00 (ერთი ათას ოთხმოცი)** ლარის ოდენობით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმომწერი პირია ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი ნინო ჭეიშვილი.

6.4 „ხელშეკრულების“ 6.3.2. პუნქტით განსაზღვრული წესით ანგარიშსწორებისას, „შემსყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს „მომსახურების საფასურის“ მეორე ნაწილი მიუხედავად იმისა, „შემსყიდველმა“ ისარგებლა ან ისარგებლებს თუ არა „მომსახურებით“.

6.5 „მომსახურების საფასურის“ 6.3 მუხლის შესაბამისად გადახდის შემთხვევაში „შემსყიდველს“ შეუძლია ისარგებლოს „მომსახურებით“ 12 თვის განმავლობაში „მომსახურების საფასურის“ ან მისი ნაწილის გადახდის თვის შესაბამისი რიცხვიდან მომდევნო წლის „ხელშეკრულების“ დადების თვის შესაბამის რიცხვამდე.

6.6 იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველს“ სურვილი აქვს მომსახურების პერიოდის ამოწურვამდე შეწყვიტოს

წინამდებარე „ხელშეკრულება“ და მოხსნას რეგისტრაციიდან სსა(ებ), ან თუ კი სხვა მიზეზით, წყდება წინამდებარე „ხელშეკრულება“, „შემსყიდველმა“ უნდა გადაიხადოს „მიმწოდებლის“ მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად რეგისტრაციიდან მოხსნისთვის აუცილებელი მაკომპლექტებლ(ებ)ის ცვლილების საფასური.

6.7 იმის გათვალისწინებით, რომ „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ სთავაზობს და აწვდის არანაკლებ ერთწლიან „მომსახურებას“, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტა განპირობებულია „მიმწოდებლის“ ბრალით) „მიმწოდებლის“ ვალდებულებები ითვლება შესრულებულად და „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია არ დაუბრუნოს „შემსყიდველს“ მომსახურებისთვის გადახდილი თანხა.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

7.1 „ხელშეკრულება“ ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს არანაკლებ ერთი წლის ვადით. ხელშეკრულების მომსახურების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით და მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

7.2 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების პერიოდის ამოწურვიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში „შემსყიდველი“ გადაიხდის წლიურ „მომსახურების საფასურს“ „ხელშეკრულება“ ავტომატურად გაგრძელდება ყოველ ჯერზე 1 (ერთი) წლის ვადით, იგივე პირობებით. ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 1 თვის შემდეგ მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება სსა-ისთვის პროგრამული განახლების მომსახურების გაწევის თარიღიდან, რისთვისაც საჭიროა „შემსყიდველის” მიერ სსა-ს „მიმწოდებლის” სერვის-ცენტრში წარდგენა და შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდა.

7.3 იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველმა“ არ გადაიხადა წლიური „მომსახურების საფასური“ 6.3. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია „შემსყიდველს“ არ მიაწოდოს „მომსახურება“ ან/და არ გაუგრძელოს „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა.

7.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

7.4.1. „მიმწოდებლის“ მიერ, თუ „შემსყიდველი“ არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველისთვის“ შეტყობინების გაგზავნიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

7.4.2. „შემსყიდველის“ მიერ, თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, „მიმწოდებლის“ სერვის-ცენტრში „შემსყიდველის“ წერილობითი განცხადების წარდგენიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში

7.4.3. „მხარეთა“ წერილობითი შეთანხმებით;

7.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.5 „ხელშეკრულება“ შეწყვეტილად ითვლება სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნით, რომლის საფასურის გადახდაც „შემსყიდველის“ მიერ ხორციელდება სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნამდე.

7.6 „ხელშეკრულების“ სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან, ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად „მხარეთა“ ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

9.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ „მხარეთა“ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2 „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობ(ებ)ის/ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის „მომსახურების საფასურის“ გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში) მიმწოდებელი უფლებამოსილია მას დააკისროს პირგასამტეხლო „მომსახურების საფასურის“ 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

9.3 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „სსა“-ს რაოდენობისა და სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს/დააზუსტოს „მომსახურების“ ჩამონათვალი,

„მომსახურების საფასური“ ან/და „ხელშეკრულების“ სხვა პირობები რაც ეცნობება „შემსყიდველს“ მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის ან/და „მიმწოდებლის“ საიტზე გამოქვეყნების გზით. „შემსყიდველისთვის“ შეტყობინების გაგზავნისთანავე მიიჩნევა, რომ „შემსყიდველი“ გაეცნო „მიმწოდებლის“ მიერ შეტანილ ცვლილებებს/დაზუსტებებს.

9.4 „მომსახურების“ პირობების ცვლილება ძალაში შედის „შემსყიდველისთვის“ 9.3. პუნქტით დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნიდან ან/და საიტზე გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის შემდეგ.

9.5 წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების“ სრულ ბათილობას.

9.6 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერით ძალადაკარგულად ითვლება „მხარეთა“ შორის არსებული ნებისმიერი/ყველა ზეპირსიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება რაც დაკავშირებულია ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის სააბონენტო და საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებასთან.

9.7 „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება „მხარეებთან“. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ტექსტებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ქართულ ვერსიას.

მუხლი 10. მხარეები და მათი რეკვიზიტები

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შპს ”ჯორჯიან სერვის ნეთვორკი” ს/ნ: 406049823 საიტი: gsn.ge ელ. ფოსტა: info@gsn.ge ტელ: 032 2 500 111 ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE70TB7114436080100001 **შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკის“ იურისტი:** **გიორგი წაქაძე** Giorgi Tsakadze 09001001390 Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2023.04.20 12:09:25	შპს [ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი] ს/ნ: 404945164] ფაქტობრივი მის: [ქავთარაძის ჩიხი #2] ელ. ფოსტა: [niniacheishvcili@gmail.com] ტელ: [595031197] საკონტაქტო პირი: ნინო ჭეიშვილი] სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22 GE41BG0000000544259603 **დირექტორი:** **ბორის თაყაიშვილი** LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction Подписано цифровой подписью: LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction Дата: 2023.04.20 10:46:13 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი ბორის თაყაიშვილი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№139; 20,04,2023წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი. ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) ნ. ჭეიშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№139; 20,04,2023წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები) შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკთან“.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ბ. თაყაიშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი:

---------- /ი. ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი: ---------- /ნ. ჭეიშვილი/

20,04,2023წ.

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Подписано цифровой подписью: LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Дата: 2023.04.20 10:46:36 +04'00'